პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 მარტი, 1942 წ. № 56 (6372). ფასი 15 კაპ.

მოსახლეობის სანიტარული მომსახურება

არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ახლა ისეთი კუნჭული ჩვენს ცხოვრებაში, ისეთი უბანი ჩვენს სახელმწიფო მშენებლობაში, სადაც მუშაობა ასე თუ ისე არ იყოს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის თავდაცვასთან.

იმ გიგანტურ ბრძოლაში, რასაც საბჭოთა ხალხი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ეწევა, ფრონტელებთან ერთად, რომლებიც იარაღით იცავენ სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას, მუშებთან ერთად, რომლებიც წითელი არმიისათვის საჭურველსა და საომარ მასალას ამზადებენ, მონაწილეობას იღებს ყველა მუშაკი, რომლებიც მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებს ემსახურება. ომი კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, მკვეთრად **ადიდებს** ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობას, რომლებსაც დავალებული აქვთ მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მზრუნველობა.

ეს დიდად შეეხება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებსაც, რომლებიც ახლა წინანდელზე უფრო მეტად არიან ვალდებულნი გააუმჯობესონ ქალაქებისა და სოფლების სანიტარული კულტურა. ჰიტლერელთა ურდოებმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვეს იმ რაიონებში, საიდანაც ისინი წითელმა არმიამ განდევნა. ფაშისტებმა გადასწვეს ათიათასობით სახლი, დაანგრიეს საავადმყოფოები, აბანოები, წყალსადენი, კანალიზაცია. ჰიტლერელთა არმია სენის გამავრცელებელია. გერმანიის არმიაში მძვინვარებს სხვადასხვა ავადმყოფობა, მათ შორის პარტახტიანი ტიფი.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის მიერ წლობით დაგროვილი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ეპიდემიებისაგან დავიცვათ ჩვენი ქალაქები და სოფლები. პარტია და მთავრობა უდიდეს სახსრებს იძლევიან განთავისუფლებულ რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა აღსადგენად. იქ მიდიან ექიმები, სწარმოებს აღდგენა საავადმყოფოებისა და აფთიაქებისა, რომლებსაც მედიკამენტებითა და მოწყობილობით ამარაგებენ. ბევრ რაიონში უკვე მუშაობენ საექიმო რაზმები, რომლებიც ქალაქებისა და სოფლების სანიტარულ-ეპიდემიურ მდგომარეობას ამოწმებენ. მოსახლეობის დახმარებაზე, აგრეთვე სხვა რაიონების ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით, — რომლებსაც ჰიტლერელ ავაზაკთა მხრივ ჩაგვრა არ განუცდიათ, სამედიცინო მუშაკებს შეუძლიათ აღადგინონ და კიდეც უნდა აღადგინონ ამ პუნქტებში ისეთი სანიტარული კეთილდღეობა, როგორშიც ისინი ოკუპანტების მოსვლამდე იმყოფებოდნენ.

სანიტარული კულტურისათვის ბრძოლა მარტო განთავისუფლებულ რაიონებსა და ფრონტისპირა ზოლში როდი უნდა სწარმოებდეს. ომის პირობებმა მოითხოვა მილიონობით მოქალაქეთა ევაკუაცია ახალ ადგილებში, სადაც, რა თქმა უნდა, მოკლე ხნის განმავლობაში ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო სავსებით შეექმნათ მათთვის ის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, როგორიც მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონებში ჰქონდათ. საცხოვრებელ სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში დროებით გარდუვალია ერთგვარი შეჯგუფება, რაც სანიტარული რეჟიმის განსაკუთრებით მტკიცედ შესრულებას მოითხოვს.

სწორედ აქეთკენ უნდა იქნას მიპყრობილი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ყურადღება. სანიტარული ექიმი ვალდებულია თვალყური ადევნოს სისუფთავეს სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში, აბანოებსა და სამრეცხაოებში, სასადილოებსა და მაღაზიებში, ვაგზლებსა და რკინიგზის ვაგონებში. მის თვალს არ უნდა გამოეპაროს არც ერთი წვრილმანი, მიუხედავად იმისა, შეეხება იგი საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებს თუ ცალკეულ მობინადრეთა ოთახებს. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, სანიტარულმა ექიმებმა გადაჭრით უნდა იბრძოლონ სისუფთავისათვის, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვისათვის. თუ აბანოს გამგე ან სახლის მმართველი სანიტარული პროფილაქტიკის წესებს არღვევს, იგი სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული.

უმწეო და უსუსურია ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო ან საბჭოთა ორგანიზაციის ის ხელმძღვანელი, რომელიც ურიგდება სიბინძურეს იმ ყბადაღებული საბაბით, რომ ახლა ომიანობის დროის სიძნელეები წამოიჭრა. საპირფარეშოები რომ სანიმუშო წესრიგში იყოს, — განა ამისთვის საჭიროა სპეციალური კაპიტალდაბანდებანი? საერთო საცხოვრებლებში რომ არ გაჩნდეს ბაღლინჯო, არ ეყაროს ნაგავი, რეგულარულად იწმინდებოდეს ჰაერი, — ნუთუ ასე ძნელია ამ უწესრიგობის აღმოფხვრა? მცირეა აბანოების გამტარუნარიანობა? მოაწყეთ უბრალო დუშის დანადგარები, — გააგანიერეთ სადგომები ფართობის რაციონალურად გამოყენების ხარჯზე, შემოიღეთ აბანოების მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. საპონი გაკლიათ? მოაწყეთ მისი წარმოება ადგილობრივ. ხომ შესძლეს სარატოვის, გორკისა და სხვა ოლქების ათობით არტელებმა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა მოეგვარებინათ საპნის წარმოება ზეთსახდელი, საპნის და ნავთსახდელი ქარხნების ნარჩენებისაგან.

ვინც ომიანობის დროის სიძნელეებს იმიზეზებს და ამ სიძნელეების გადასალახავად არაფერს არ აკეთებს, იგი თვითონვე აღიარებს, რომ არ ესმის ის პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ომმა ყოველი ხელმძღვანელის წინაშე დასახა. ტამბოვის საოლქო ჯანმრთელობის განყოფილებამ, რომელიც რთულ ფრონტისპირა პირობებში მუშაობს, შესძლო კარგად მოეგვარებინა ჰოსპიტლების მუშაობა და ამავე დროს სწორად მოეწყო ადგილობრივი და ევაკუირებული მოსახლეობის მედიკურ-სანიტარული მომსახურება. ზურგის ქალაქ ყაზანში კი, სადაც, სხვათა შორის, იმყოფება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის, რუსეთის სფს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთელი რიგი სამმართველოები, სანიტარული მუშაობის დონე მეტისმეტად დაბალია. მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში ცუდად არის დაყენებული ბრძოლა ინფექციურ დაავადებებთან. ქალაქში სიბინძურეა, კანალიზაცია და უსუფთაობის გადატანა უმსგავსო მდგომარეობაშია. იმ შენობაშიც კი, სადაც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატები არიან მოთავსებულნი, საერთო სარგებლობის ადგილები რაღაც ბინძური სანაგვე ადგილებია.

სანიტარული საქმე თავდაცვის საქმეა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვასთან. მოსახლეობის სანიტარული მომსახურების ხარისხზეა დამოკიდებული ჯანსაღი შევსების გაგზავნა ფრონტზე. მოსახლეობის სანიტარული მომსახურების ხარისხზეა დამოკიდებული იმ საწარმოების შეუფერხებელი მუშაობა, რომლებიც პროდუქციას ამზადებენ ფრონტის საჭიროებისათვის.

ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც გაზაფხულის პერიოდი ახლოვდება. არ შეიძლება იმის თქმა, რომ პარტიის ყველა საოლქო კომიტეტი და საქალაქო კომიტეტი დღემდე სათანადოდ სწავლობდნენ ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა მუშაობას. ეს სერიოზული ნაკლია. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები საჭიროებენ საფუძვლიან კრიტიკას და სერიოზულ დახმარებას პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

წითელი არმიის სამხედრო-სანიტარულ და სამკურნალო დაწესებულებათა და სსრ კავშირის ჯანსახკომის მუშაკები მთელ თავის ძალებს, მთელ თავის ცოდნას იმ უაღრესად პასუხსაგებ საქმეს ახმარებენ, რომელიც მათ სამშობლომ მიანდო. ამ სამედიცინო მუშაკთა დიდი ჯგუფი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში დაჭრილ მეომართა და მეთაურთა ევაკუაციისა და მკურნალობის დარგში სანიმუშო და თავდადებული მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული. ასევე თავდადებით უნდა ასრულებდნენ თავის მოვალეობას ის ექიმები, ფერშლები, მედიცინის დები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სანიტარული კულტურისათვის.

ზურგის უკეთესი სანიტარული მომსახურებისათვის ბრძოლაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მუდამ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური დახმარების იმედი. აბა ერთი დაიძახეთ, ამხანაგებო, მედიცინის მუშაკებო, და თქვენს დასახმარებლად მოვლენ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და სახლებთან შექმნილი სანიტარული რგოლები, დასახმარებლად მოვლენ სანიტარული საგუშაგოები, სანიტარული რაზმები, მრავალათასიანი აქტივი, რომელიც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. შეურიგებელნი იყავით სანიტარული რეჟიმის თვით ოდნავი დარღვევისადმიც კი! თავიდან აიცილეთ ეპიდემიების გაჩენის ყოველგვარი შესაძლებლობა! იბრძოლეთ ზურგის სანიმუშო სანიტარული მდგომარეობისათვის! დაიცავით საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობა, რათა მათ, ძალითა და ენერგიით აღსავსე ადამიანებს, შეეძლოთ თავდადებით მიიღონ მონაწილეობა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში.

„პრავდის“ მოწინავე, 6/III.

ტყვარჩელელებმა გადამეტებით შეასრულეს თებერვლის დავალება

აკარმარა („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელის მეშახტეებმა თებერვალში წარმატებით იმუშავეს და ქვანახშირის ამოღების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. თებერვალში ყველაზე უკეთესად იმუშავეს მეხუთე და მეშვიდე უბნის მეშახტეებმა. მეხუთე უბანმა წარმატებით გაანაღდა ქვანახშირის ამოღების დავალება, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა 150 პროცენტით შეასრულა.

ქვანახშირის ამოღების ტემპები განსაკუთრებით გაძლიერდა თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგი სტალინის ბრძანების შემდეგ. შახტის მოწინავე ადამიანებმა პრაქტიკული საქმით უპასუხეს ბელადის ახალ მოწოდებას. ბევრმა სტახანოველმა გამოიჩინა თავი შესანიშნავი მუშაობით. მეექვსე უბნის მნგრეველმა ამხ. ნადირაძემ 232 პროცენტით გაანაღდა თებერვლის დავალება, ამავე უბანში ამხ. პერევერზევის ბრიგადამ დაახლოებით ორნახევარი ნორმა შეასრულა. ამხ. გელიჩკოს ბრიგადამ თებერვლის გეგმა 409 პროც. გაანაღდა.

მეშახტენი თავგამოდებით იბრძვიან, რათა მარტში კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპები და ახალი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვონ.

უკანასკნელ საათს

დასავლეთის ფრონტის ჯარების ნადავლი 1942 წლის 6 თებერვლიდან 5 მარტამდე

6 თებერვლიდან 5 მარტამდე დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მტერთან ბრძოლებში ხელთ იგდეს შემდეგი დავლა:

43 ტანკი, 285 ქვემეხი, 83 ნაღმსატყორცნი, 491 ტყვიამფრქვევი, 236 ავტომატი, 3.804 შაშხანა, 28 თვითმფრინავი, 4 პლანერი, 794 ავტომანქანა, 189 მოტოციკლი და ველოსიპედი და ერთი ვაგონი ველოსიპედებით, 13 ტრაქტორი და საწევარი, 653 საზიდარი და მარხილი, 1.012 ცხენი, 6 რაცია, 153 უნაგირი, 50 ტონა მავთული, 13.361 კასრი ბენზინი, 2 ჯავშნიანი ბაქანი, 10.400 არტილერიის ყუმბარა, გარდა ამისა 249 ყუთი ყუმბარებით, 2 საწყობი ჯერ კიდევ დაუთვლელი ყუმბარებით და 160 ვაგონი ყუმბარებიანად, 4.166 ნაღმი და 113 ყუთი ნაღმებით, 2.915 გრანატი და 14 ყუთი გრანატებით, 991 ათასი ვაზნა და 35 ყუთი ვაზნებით, 10 ვაგონი ავიაბომბები და საწყობი ჯერ კიდევ დაუთვლელი ავიაბომბებით, 7.090 ყუმბარის პილზი, 16 ორთქლმავალი, 599 ვაგონი.

ამავე ხნის განმავლობაში გერმანელებმა დასავლეთის ფრონტის რაიონში მოკლულთა სახით დაჰკარგეს სულ მცირე 40 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მტრისაგან გაათავისუფლეს 263 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქები სუხინიჩი, იუხნოვი, დოროგობუჟი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 მარტის დილის ცნობა

5 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

• • •

ჩვენმა ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, მტრის წინააღმდეგ ერთი დღის ბრძოლაში მოსპო 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ლეიტენანტ ნესინის ქვეგანაყოფის არტილერისტებმა მოიგერიეს მტრის დიდი ნაწილის ღამის კონტრიერიში. გერმანელებმა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 300-ზე მეტი გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე და უკან დაიხიეს.

• • •

ერთმა ჩვენმა ქვეგანაყოფმა (კალინინის ფრონტი) გერმანელთა კონტრიერიში მოიგერია სოფელ Ш-ს რაიონში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 270 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ცხრამეტ წითელარმიელთა ჯგუფმა უმცროს ლეიტენანტ უკასოვის მეთაურობით უეცარი თავდასხმით განდევნა მტერი სოფელ ნ-დან. მოკლულია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

მამაცობასა და გულადობას იჩენენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხ. გრიბაჩევის ქვეგანაყოფის ტანკისტები. ზემდეგ სერმინის სატანკო ეკიპაჟი შეიჭრა სოფელ ბ-ში, ცეცხლითა და მუხლუხებით მოსპო 4 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, დაანგრია 2 ბლინდაჟი და შემუსრა მტრის დაახლოებით 2 ქვეითი ოცეული. ლეიტენანტ კოზულინის სატანკო ეკიპაჟმა გერმანელების მიერ ძლიერ გამაგრებულ დასახლებულ პუნქტზე იერიშის მიტანის დროს მოსპო 2 ქვემეხი, დაანგრია 20 ბლინდაჟი, გაანადგურა 5 ავტომანქანა და შემუსრა მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

სმოლენსკელ პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. პ-ს მეთაურობით 25 დღის ბრძოლის განმავლობაში 120-ჯერ გასწყვიტა სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი მტრის ნაწილებს შორის, ააფეთქა გზატკეცილის დიდი ხიდი, ცეცხლი გაუჩინა ორ საწვავიან ავტოცისტერნს და მოსპო მტრის 39 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ქვემოთ ქვეყნდება ამონაწერები გერმანელთა 257-ე ქვეითი დივიზიის 257-ე საარტილერიო პოლკის მე-11 ბატარეის ლეიტენანტის კარლ შულცის დღიურიდან:

„**24 იანვარი.** რუსები ზუსტად უშენენ არტილერიას ჩვენს პოზიციებს. ჩვენს თავშესაფარს ყუმბარა მოხვდა... პირველი დივიზიონი განადგურებულია და აღარ არსებობს. 457-ე ქვეითი პოლკი მაიორ ვიზნერის მეთაურობით გარშემორტყმულია. სატანკო დივიზიონი განადგურებულია. მე-10 ბატარეაც განადგურებულია. ცოცხალი ძალის დანაკლისი ჯერ კიდევ არ არის ზუსტად გამორკვეული.

25 იანვარი. მახლობლად სროლის ხმა გაისმა. ვახმისტრი ბიტლერი, რომელიც მეზობელ სახლში იმყოფებოდა, იქვე მოჰკლეს... ნეტავ ვიცოდე, თუ რა მოუვიდა ჩვენს განადგურებულ დივიზიას.

29 იანვარი. მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. საიდუმლო დოკუმენტები მოსპეს. ფრანც ვანკერმა, რომელიც მე-3 დივიზიონის შტაბში ირიცხება, საშინელი რამ გვიამბო...

31 იანვარი. დილით რუსებმა შეტევა დაიწყეს. მარცხნივ და მარჯვნივ რუსები დიდ მანძილზე შემოიჭრნენ.

2 თებერვალი. საღამოს რუსებმა სამი მხრით შემოგვიტიეს.

6 თებერვალი. სურსათ-სანოვაგის მომარაგება უფრო და უფრო უარესდება. არაფერი არ მოდის“.

• • •

კალინინის ოლქის პოგორელოეს რაიონის სოფელ ულიანოვოდან უკანდახევისას ჰიტლერელებმა დასწვეს 117 სახლი, 4 სკოლა, კლუბი, სელის ქარხანა, ორი საბავშვო სახლი, საავადმყოფო, აფთიაქი, 2 ფურნე, სავეტერინარო, საავადმყოფო, მაღაზია, ფოსტა და სხვა დაწესებულებანი და საწარმონი. ფაშისტმა ბანდიტებმა სოფლის მცხოვრებლებს წაართვეს ტანისამოსი, სურსათ-სანოვაგე, თეთრეული, ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები.

• • •

ტომსკის რკინიგზის კემეროვოს დასატვირთავი პუნქტის მტვირთავ ქალთა ცვლა სისტემატურად ორნახევარჯერ გადაჭარბებით ასრულებს დატვირთვის ნორმებს. მტვირთავმა ქალმა ამხ. ვინოგრადოვამ ამ დღეებში ცვლის ნორმა 290 პროცენტით შეასრულა.

6 მარტის საღამოს ცნობა

6 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ წინსვლას და ფრონტის რამდენიმე უბანზე დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

5 მარტის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 79 თვითმფრინავი. ჩვენ 14 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

5 მარტის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 10 ტანკი, 400-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 135 საზიდარი საომარ მასალიანად, 13 ავტოცისტერნი და 2 სარკინიგზო ცისტერნი საწვავიანად, 38 ქვემეხი, 13 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, აფეთქებულია 6 საწყობი საომარ მასალიანად, დამსხვრეულია 35 სარკინიგზო ვაგონი და ორთქლმავალი. დანგრეულია ანგარი, გაფანტულია და ნაწილობრივ განადგურებულია მტრის 4 ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი.

• • •

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა შეავიწროვეს მტერი, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდათ, და დაიკავეს ორი დასახლებული პუნქტი. ბრძოლის განმავლობაში დაზიანებულია 13 ტანკი და განადგურებულია მტრის 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი. გერმანელებმა სცადეს ქვეითი ჯარის გააფთრებული კონტრიერიშებით, რასაც ტანკები ეხმარებოდნენ, დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მტრისათვის დიდი ზარალით.

• • •

ჩვენმა ნაწილმა, რომელიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, გაარღვია მტრის გამაგრებული ზოლი და 4 დასახლებული პუნქტი დაიკავა. ხელთ ვიგდეთ 3 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 11 ნაღმსატყორცნი, 36 ავტომანქანა და ბევრი სხვა საჭურველი. ბრძოლაში მოსპობილია 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 15 გერმანელი წამოყვანილია ტყვედ. მეორე უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გაანადგურეს „ს“ ბრიგადის საკავალერიო პოლკის ესკადრონი. გერმანელებს 200 ჯარისკაცი და ოფიცერი მოუკლეს.

• • •

გვარდიელ-მზვერავთა ჯგუფი უფროსი პოლიტხელის პ. ი. მიტროფანოვის მეთაურობით, მიუხედავად ძლიერი სატყვიამფრქვევო ცეცხლისა, შეიჭრა სოფელ კ-ში და ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავა იგი. გერმანელებმა მოკლულთა სახით 100 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 15 ავტომანქანა საომარ მასალიანად და საწვავის დიდი საწყობი.

• • •

ჩვენმა 18 მებრძოლმა უფროს სერჟანტ ამხ. ორლოვის მეთაურობით (კალინინის ფრონტი) გერმანელები განდევნა დასახლებულ პუნქტ ბ-ს ერთი გამაგრებული სახლიდან. ჰიტლერელებმა გადასწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, დაებრუნებინათ თავდაცვისათვის მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია და ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ გამოიყვანეს 150 კაცისაგან შემდგარი რაზმი. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. წითელარმიელები პირდაპირი სროლით სპობდნენ, გრანატებით იგერიებდნენ გერმანელებს და რამდენიმე საათის განმავლობაში ეწეოდნენ უთანასწორო ბრძოლას. გერმანელებს ეგონათ, გამარჯვება უკვე ახლოს არისო. ამ დროს მოუსწრო ჩვენი მებრძოლების მეორე ჯგუფმა ამხ. კრუგლიკოვის მეთაურობით. მცირე ხნის შეტაკების შემდეგ ყველა ჰიტლერელი მოსპობილ იქნა.

• • •

სმოლენსკის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი „დასცხე მტერს“ ღამით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ კ-ში. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა 30-ზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს და სოფლიდან უკან დაიხიეს. პარტიზანთა მეორე რაზმმა იერიში მიიტანა დამსჯელ რაზმზე, მოსპო 17 სს-ელი და ხელთ იგდო 4 ტყვიამფრქვევი და 7 ავტომატი.

• • •

იმ ერთ-ერთი სოფლის კომენდატურაში, რომელიც ოკუპირებულია თეთრფინელების მიერ, პარტიზანებმა ხელთ იგდეს კომენდატ ვეინო საარინენის მშობლებისადმი გაუგზავნელი წერილი. წერილში ნათქვამია: „სიცოცხლე მომბეზრდა. ყველაზე საშიშნი პარტიზანები არიან. გუშინ მათ ცეცხლი წაუკიდეს ჩვენს საწყობებს და მიიმალნენ. დაიღუპა უკანასკნელი ნარჩენი სურსათისა“.

• • •

ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 52-ე ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის მე-6 ასეულის მეთაურის მოხსენება. ასეულის მეთაური პოლკის შტაბს მოახსენებს, თუ რამდენი და რა იარაღი დაჰკარგა მისმა ქვეგანაყოფმა უკანასკნელ ბრძოლებში. მე-6 ასეულმა დაჰკარგა: 91 ხიშტი, 20 შაშხანა, 3 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 44 რევოლვერი, 10 ავტომატი, 9 „მგ-34“ ტყვიამფრქვევი, 2 დაზგის „მგ-34“ ტყვიამფრქვევი, 3 მსუბუქი ნაღმსატყორცნი, 94 აირწინაღი.

• • •

წითელი არმიის ნაწილების მიერ დამარცხებული და უკანდახეული გამძვინვარებული ჰიტლერელები სპობენ საბჭოთა სოფლებისა და ქალაქების მშვიდობიან მოსახლეობას. ლენინგრადის ოლქის დაბა ოხვატში ჰიტლერელებმა დახვრეტის მუქარით აიძულეს მოხუცები და ქალები მარხილებში ჩამსხდარიყვნენ და დანაღმული გზით ევლოთ. აფეთქების დროს დაბის ბევრი მცხოვრები დაიღუპა.

• • •

წარმატებით მუშაობს „ზაბაიკალზოლოტოს“ ტრესტის კიის სამაღნოს კოლექტივი. მბურღავმა მიხეილ ფედოტოვმა ამ დღეებში ნორმის 647 პროცენტი მოგვცა, ხოლო მისმა მოწაფემ გიორგი რეშეტნიკოვმა დავალება 523 პროცენტით შეასრულა. სამაღნომ ვადამდე შეასრულა ოქროს მოპოვების კვარტალური გეგმა.

გერმანელთა აეროდრომის განადგურება

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი, 5 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ავიაცია აქტიურ დახმარებას უწევს სახმელეთო ჯარებს გერმანიის გარშემორტყმული მე-16 არმიის ნაშთების მოსპობაში. ამ დღეებში, განსაკუთრებით ცუდი ხილვადობისა და ქარბუქის მიუხედავად, განადგურებულ იქნა მტრის ერთი დიდი აეროდრომი. ჩვენი ავიაციის თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მტრის საზენიტო არტილერიამ ერთბაშად როდი აუტეხა სროლა. საბჭოთა გამანადგურებლებმა მთელი რიგი თანმიმდევრული დარტყმებით აეროდრომზე მტრის ოცამდე თვითმფრინავი მოსპეს.

რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენმა მფრინავებმა, რომლებიც ამ აეროდრომის მეორეჯერ დასაბომბავად მიდიოდნენ, ჰაერში შეამჩნიეს ფაშისტთა ზურგიდან სულ ახლახან მოსული თვითმფრინავები. შესანიშნავი მამაცობა და მდგომარეობაში გარკვევის უნარი გამოიჩინა მფრინავმა ბეკლიშევმა. როგორც ამის შესახებ გუშინ საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, იგი მალე შეუერთდა გერმანიის მანქანებს და სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი, დამშვიდებულნი, თავის აეროდრომზე ეშვებოდნენ, ბომბები დააყარა მათ. 5 სატრანსპორტო თვითმფრინავის განადგურების შემდეგ ბეკლიშევმა მშვიდობით დააღწია თავი საზენიტო ქვემეხების ცეცხლს.

ჩვენმა მფრინავებმა მტრის სრული დაბნეულობით ისარგებლეს და იმავე დღეს კიდევ ერთი თავდასხმა მოახდინეს ამ აეროდრომზე.

სულ ამ აეროდრომზე მოსპობილ იქნა ფაშისტთა 30 თვითმფრინავი.

როგორ ავიღეთ ქალაქი იუხნოვი

დასავლეთის ფრონტი, 5 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ჩვენმა ჯარებმა ქალ. იუხნოვი აიღეს. გადმოგცემთ იუხნოვისათვის ბრძოლის ზოგიერთ დაწვრილებითს ცნობას.

გერმანელმა დამპყრობლებმა იუხნოვის რაიონი თავიანთი თავდაცვის ერთ-ერთ ძლიერეს კვანძად აქციეს. იუხნოვის გარშემო მთელი ტერიტორია 12-15 კილომეტრზე დანაღმეს. ყველა სოფელი გამაგრებულ ფორტებად აქციეს, თითოეულ სოფელს გარს შემოარტყეს თოვლისა და ყინულის სანგრები, დიდძალი მავთულხლართების ხაზები. თოვლისა და ყინულის სანგრები შემოარტყეს ცალკეულ შენობებს იუხნოვის ირგვლივ მდებარე სოფლებშიც. ყოველი სოფელი წინააღმდეგობის კვანძს წარმოადგენდა. ყოველი სახლი საცეცხლე წერტი იყო.

გერმანელებს ზოგან 12-ზე მეტი მძიმე ნაღმსატყორცნის ბატარეა, დიდძალი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და სხვა სასროლი საშუალებანი ჰქონდათ. გამაგრებული რაიონისა და თვითონ ქალაქ იუხნოვის ყველა მისადგომი 3 კილომეტრამდე უბანზე მომიზნული იყო. გამაგრებულ პუნქტებს შორის გასასვლელები დაცული იყო ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის საფლანგო მრავალფენიანი ცეცხლით.

გერმანელებმა სასწრაფოდ გადმოიყვანეს აქ სატრანსპორტო თვითმფრინავებით რეზერვები თვით გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ოკუპირებული სახელმწიფოებიდან. მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა საბჭოთა ჯარების შეტევითი აღფრთოვანება! ჩვენმა მებრძოლებმა მტრის სიმაგრენი გადალახეს და იუხნოვის გამაგრებული რაიონისა და თვით ქალაქის იერიში დაიწყეს. მტერი ყველა სახეობის არტილერიის გრიგალისებრ ცეცხლს უშენდა, ცდილობდა შეეჩერებულიყო ყოველ საცეცხლე ზღუდეზე. მაგრამ ამაოდ.

საბჭოთა ჯარებმა იუხნოვს იმდენად სწრაფად დაჰკრეს, რომ მტერი იძულებული გახდა დასავლეთისაკენ გაქცეულიყო და ბრძოლის ველზე დაეტოვებინა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების [illegible] მანქანები, ქვემეხები, [illegible] ვაზნები, მარტო [illegible] ზე, რომლის [illegible] გერმანელებმა 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. სხვა უბნებზე მტრის ზარალი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ქალაქის მისადგომები და ქუჩები მოფენილია მტრის გვამებით. გზებზე ყველგან ნახავთ მტრის მიერ მიტოვებულ ავტომანქანებს, ტანკებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს და დიდძალ სხვა სამხედრო ქონებას. სოფელ სლობოდაში გერმანელებმა ათობით დაჭრილი თავიანთი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს, რომლებიც ჰოსპიტლებში იმყოფებიან.

იუხნოვისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა უფროსი სერჟანტ პანიკოვის სატყვიამფრქვევო ოცეულმა. გულადმა საბჭოთა მეტყვიამფრქვევეებმა მტრის 14 კონტრიერიში მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ბანდებს. უფროსი ლეიტენანტი ტეპლიაკოვი რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე, დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და თავის საბრძოლო საგუშაგოზე რჩებოდა ბოლომდე. მებრძოლთა ჯგუფმა, რომელსაც ტიმოშკინი მეთაურობს, გერმანელები 50 მეტრზე მოუშვა და პირისპირ დაუწყო ჟლეტა. ფაშისტებმა დიდი ზარალი ნახეს და გაიქცნენ.

იუხნოვიდან საჩქაროდ უკან დახევისას მტერმა იწყო ქალაქის გადაწვა და საომარმასალიანი საწყობების აფეთქება. მაგრამ ბევრი რამ მან ვერ მოსპო. ჩვენი მებრძოლების მოქმედების სისწრაფემ მათ თავზარი დასცა და აიძულა გაქცეულიყვნენ ქალაქიდან. ჩვენი მებრძოლები სარდაფებიდან და შენობებიდან ერეკებოდნენ გერმანელ ოკუპანტებს და ამავე დროს ხანძარს აქრობდნენ და დაღუპვას გადაარჩენდნენ საბჭოთა მოქალაქეების ბინებს და ქონებას.

ი. გრიბოვი

ფაშისტთა ბოროტმოქმედების კვალი

ვოლოკოლამსკი, 5 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღითი-დღე ირკვევა გერმანელ ოკუპანტთა ვანდალიზმის სულ ახალ-ახალი ფაქტები. ველურთა ჩლუნგი სიმკაცრით ისინი სპობენ და თავლებად აქცევენ ისტორიულ შენობებს, იტაცებენ სამუზეუმო ფასეულობას, ბილწავენ ყოველივე იმას, რაც ძვირფასია ყოველი კულტურული ადამიანისათვის.

1920 წლის 14 ნოემბერს ვლადიმერ ილიას-ძე იყო ვოლოკოლამსკის რაიონის სოფელ კაშინოში, სადაც დაესწრო იმ ელექტროსადგურის გახსნას, რომლის შექმნაშიც იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა. კაშკინების სახლი, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე გაჩერდა, შემდეგ ტერიაევოს საისტორიო-სამხარეთმცოდნეო მუზეუმის განკარგულებაში გადავიდა. კაშინოში ხშირად ჩამოდიოდნენ მშრომელთა ექსკურსიები. კაშინელები მათ სიამაყით უჩვენებდნენ ლენინის სახლს, იმ მოედანს, სადაც 1920 წელს ვლადიმერ ილიას-ძემ წარმოსთქვა სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, უჩვენებდნენ ლენინის ელექტროსადგურს, კაშხალს, ვლადიმერ ილიას-ძის მიერ გამოგზავნილ საჩუქრებს: რთულ სალეწ მანქანასა და „ფორძონის“ ტრაქტორს.

როდესაც გერმანელმა ოკუპანტებმა ვოლოკოლამსკის რაიონი დაიკავეს, მათ გაანადგურეს და გაძარცვეს ყველა კულტურულ-ისტორიული ძეგლი, მხეცურად გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. გონჩაროვების ყოფილ სახლში მოწყობილი პუშკინის ოთახი თავლად გადააქციეს, დასწვეს და გაძარცვეს ჩერნიშოვების სახლში მოწყობილი საუცხოო სანატორიუმი, ცდილობდნენ დაეწვათ ბავშვთა ქალაქი იაროპოლეცში და მოსპეს ვოლოკოლამსკის ყოფილ იოსების მონასტერში მოწყობილი მუზეუმი ტერიაევოში. ირგვლივ სულერთიანად გადასწვეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მთელი რიგი სანიმუშო კოლმეურნეობანი, დაჯილდოებული კოლმეურნეობა „პუტიატინო“ და სხვები.

სოფელ კაშინოში გერმანელი ოკუპანტები ერთ თვესა და 20 დღეს თარეშობდნენ. კაშინოდან უკან დახევის დროს გერმანელებმა 73 კომლიდან მთელი საკარმიდამო შენობებიანად გადასწვეს 51 კომლი, მოსპეს ლენინის ელექტროსადგური, დასწვეს პირუტყვის ახალი სანიმუშო სადგომი. (ცდილობდნენ კლუბის დაწვას, მაგრამ ვერ მოასწრეს). სოფელ კაშინოს ნაწილი, ეგრეთწოდებული ახალი კაშინო სულერთიანად გადამწვარია. ოდესღაც გამოცოცხლებული და ელექტრონის შუქით უხვად განათებული ქუჩის გასწვრივ მოსჩანს გარუჯული ხეები და ნახევრადდანგრეული ღუმელები და საკვამურები — აი ყოველივე ის, რაც ლამაზი და კულტურული სოფლისაგან დარჩა. ძველ კაშინოში გერმანელები ნაჩქარევად უკან დახევის დროს ამორჩევით სწვავდნენ სახლებს. მათ დასწვეს ლენინის სახლი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის როდიონოვას სახლი და სხვ. როდიონოვამ წინასწარ შესძლო გაერეკა კოლმეურნეობის პირუტყვი და ოკუპანტებისაგან გადაერჩინა იგი.

ქერივ კაშკინას გერმანელებმა უბრძანეს, ჩვენს ოფიცრებს ბატები შეუწვიო. მოხუცმა ქალმა ამის შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მას სცემეს, პირწმინდად გაძარცვეს, ხოლო მისი სახლი, რომელშიც 1920 წელს ლენინი გაჩერდა, დასწვეს. როდესაც მოსახლეობა — მოხუცები და ბავშვები — სანგრებიდან და მიწურებიდან დაბრუნდნენ სოფელში, ლენინის სახლისა და ბევრი სხვა ნაგებობისაგან უკვე არაფერი აღარ იყო დარჩენილი.

კაშინოელები არასოდეს არ დაივიწყებენ და არ აპატიებენ ჰიტლერელებს ამ ბოროტმოქმედებას.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 5 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკის ავიაციამ ბატაანის ნახევარკუნძულზე (ფილიპინები) იერიში მიიტანა იაპონიის გემებზე. იაპონიის სხვა გემებს შორის დაზიანებულია 10.000 ტონა წყალწყვის ერთი გემი, 8.000 ტონა წყალწყვის ერთი გემი და ას-ასი ტონა წყალწყვის 2 მოტორიანი გემი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 5 მარტი (საკდესი). ინგლისის ბირმის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონიის ჯარებმა მდინარე სიტანგი გადალახეს.

ავსტრალიის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 4 მარტს იაპონიის ავიაცია თავს დაესხა ქალაქ დარვინს და აეროდრომი დაბომბა. მოხდა მცირეოდენი ნგრევა. მსხვერპლი არა ყოფილა. 5 მარტს დილით ორჯერ დაესხნენ თავს მორესბის ნავსადგურს ახალი გვინეის კუნძულზე. მსხვერპლი არა ყოფილა.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ბატავია, 5 მარტი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იავის კუნძულზე ყველგან ბრძოლა მიმდინარეობს იაპონიის ჯარების წინააღმდეგ. იაპონიის ჯარებს რიცხობრივი უპირატესობა აქვთ და განუწყვეტლივ მოიწევენ წინ.

კუნძულის დასავლეთ ნაწილში ჰოლანდიის ინდოეთის ჯარებმა კრავანგი და ტანგერაგი დასტოვეს, რომლებიც მოწინააღმდეგემ დაიკავა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 5 მარტი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 2 მარტს იაპონიის ჯარებმა ფილიპინებზე დაიკავეს ქალაქი ზამბოანგი, ხოლო კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — მინდანაო. იავის კუნძულზე იაპონიის ჯარებმა ბატავიის მახლობლად მდებარე პუნქტს მიაღწიეს.

მასობრივი დაპატიმრება სინგაპურში

ტოკიო, 6 მარტი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, სინგაპურში ხელმეორედ ჩატარდა ანტიიაპონური ელემენტების მასობრივი დაპატიმრება. სულ დააპატიმრეს 70.696 კაცი, უმთავრესად ჩინელები.

ბატავიის ევაკუაცია

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბანდუნგიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ბატავია ევაკუირებულია.

იაპონია-ჩინეთის ომი

ძეძიანის პროვინციაში ჩინეთის ჯარებმა წარმატებით მიიტანეს იერიშები იაპონელთა გარნიზონებზე ქალაქ იუხანსა და ფუიანში (ხანჯოუს დასავლეთით). ხუბეის პროვინციაში ჩინეთის ჯარმა უეცარი იერიში მიიტანა იაპონელთა პოზიციებზე დანიანის რაიონში. ბრძოლის შედეგად, რომელმაც რამდენიმე დღეს გასტანა, იაპონელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

5 მარტი (საკდესი).

იდენის განცხადება გერმანიის სახელმწიფოსა და გერმანელი ხალხისადმი ინგლისის დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 5 მარტი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა პასუხი გასცა თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე — როგორია ინგლისის დამოკიდებულება გერმანიის სახელმწიფოსა და გერმანელი ხალხისადმი.

შეკითხვა მისცა კინგ-ჰოლმა — გამოხატავს თუ არა აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკას პრემიერ სტალინის ბრძანება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ჰიტლერული რეჟიმი და გერმანელი ხალხიო?

ამის საპასუხოდ იდენმა განაცხადა ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია ამ საკითხში არაერთხელ იყო გამჟღავნებული როგორც ინგლისის სახელით, ისე სხვა მთავრობებთან ერთადაც. იგი არ ეწინააღმდეგება იმ განცხადებას, რომელიც ამას წინათ ბ-მა სტალინმა გააკეთაო.

ჰიტლერელები ძალით ახდენენ ესტონეთის გერმანიზაციას

ლონდონი, 5 მარტი (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, ჰიტლერელები მათ მიერ დროებით ოკუპირებული ესტონეთის სს რესპუბლიკაში ძალით ატარებენ გერმანიზაციას. ტარტუს ცნობილ უნივერსიტეტში ყველა ესტონელი მასწავლებელი და პროფესორი დაითხოვეს და გერმანელებით შესცვალეს. ყველა ადგილობრივი ბანკი დახურეს. ეს ბანკები დრეზდენისა და ჰანზის ბანკების განყოფილებებით შესცვალეს. მოსახლეობას განუწყვეტლივ ჰგზავნიან იძულებითს სამუშაოზე. მოხდა მასობრივი დაპატიმრება. აპატიმრებენ ყველას, ვისზედაც ეჭვი აქვთ მიტანილი, ანტიჰიტლერული განწყობილებისაო.

„ახალი წყობილება“ ევროპაში ჰიტლერული გაზეთის გულახდილი აღიარებით

სტოკჰოლმი, 5 მარტი (საკდესი). გერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა სტატია ეგრეთწოდებული „ახალი წყობილების“ შესახებ ევროპაში. გაზეთი გულახდილად აცხადებს: „ახალი წყობილების“ აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოისპოს ევროპის ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობა და ეს ქვეყნები გერმანიამ შთანთქას. „ცნება — გერმანიის იმპერია, — ამტკიცებს გაზეთი, — საგრძნობლად სცილდება გერმანიის საზღვრებს. ახალ ევროპაში ცალკეულ ქვეყნების დამოუკიდებელი არსებობა ძლიერ იქნება შეზღუდული ერთიანი კონტინენტური ხელმძღვანელობის სასარგებლოდ“, — რომლითაც გაზეთი ჰიტლერის ხროვის ბატონობას ჰგულისხმობს.

ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტის ჩასვლა დიდ ბრიტანეთში

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩრდილოეთ ირლანდიის ერთ-ერთ ნავსადგურში გადასხდნენ ამერიკის ჯარების მნიშვნელოვანი რაზმები. მათ შეხვდნენ ამერიკის ჯარების მთავარსარდალი და მისი შტაბის წევრები, ინგლისის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლები, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი და ოლსტერის (ჩრდილოეთ ირლანდია) ოფიციალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 4 მარტს ლონდონში ჩავიდა ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“

გრანდიოზული ფილმი

არა, ომების მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ასეთი გიგანტური ბრძოლა. მას ბადალი არ მოეპოვება. მოსკოვის გმირული დაცვა სამხედრო ხელოვნების უმაღლესი მწვერვალია. ბრძნული სარდლობა და არმიის კოლოსალური გამძლეობა, ისტორიაში უმაგალითო გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც ვერაგ დამპყრობლებს ებრძვის, სასიკვდილო საფრთხის მრისხანე დღეებშიც გამარჯვების ურყევი რწმენა—ეს ფოლადისებური ერთიანობა ასახა დოკუმენტურმა კინოფილმმა—„გერმანიის ჯარების განადგურება მოსკოვთან“. ძნელია სრულყოფილად გადმოსცე სამუმის ძალის ის შთაბეჭდილება, რომელსაც ეს გრანდიოზული ფილმი მნახველში იწვევს. იგი მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს უმძიმეს განსაცდელზე; იგი მოგვითხრობს ჩვენს გამარჯვებაზე. მასში აისახა მთელი საბჭოთა ხალხის გმირული სახე და იგი პირველი ფილმია, რომელიც ქარიშხლიანი ეკრანიდან გვიმღერის მოსკოვთან წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებას.

მრისხანე დღეები იყო მაშინ. ამ დღეების ჩვენებით იწყება ეს ფილმი. მაშინ ოთხმოცზე მეტი დივიზია მოაყარა პირსისხლიანმა ჰიტლერმა მოსკოვის მისადგომებს. თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ფაშისტ მძარცველთა ურდოები მშიერი მგლებივით მოესიენ ჩვენი საყვარელი ქალაქის კარიბჭეს. გმირული ქალაქი ამაყად იდგა. მოსკოვის მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, თავდადებულად მუშაობდა ქალაქის დაცვისათვის. ეკრანზე ვხედავთ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებსა და ლობურებს, რომლებსაც მოსკოველები აგებენ. ეს იყო მძიმე დღეები. მტერი წინ მოიწევდა. ფრონტი უახლოვდებოდა ქალაქს. ფაშისტი გარეწრები უკვე თარეშობდნენ კრიუკოვოსთან, კრასნაია პოლიანასთან და იახრომასთან. გერმანელები ემუქრებოდნენ კაშირას და კოლომნას... მძიმე დღეებს განიცდიდა მოსკოვი ოქტომბერში, ნოემბერში და ამ დროს გაისმა ამხანაგ სტალინის გამარჯვების რწმენით აღსავსე სიტყვები.

ეკრანზე გამოჩნდება ამხანაგი სტალინი. ხმოვან ფილმს ჩვენამდე მოაქვს მთელი საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მშობლიური, ახლობელი, საყვარელი ხმა. გულის სიღრმეში ჩამწვდომია ეს ხმა. ეს იმედიანი სიტყვები. ბელადი მიმართავს წითელარმიელებსა და წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს: „თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, როგორც თავის გამათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი გამათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი!“

და საბჭოთა ადამიანები ყველგან, ფრონტზე თუ ზურგში, ბელადის სიტყვების შესრულებისათვის ვახტზე დგანან!

აი საბრძოლო პოსტები. გმირი მებრძოლები იცავენ სოციალისტურ სამშობლოს. ეკრანზე ჩვენ ვხედავთ სახელოვან გენერლებს ჟუკოვსა და არტემიევს, რომლებსაც ამხანაგმა სტალინმა დაავალა მოსკოვის დაცვა. ისინი მუშაობენ მოსკოვთან გერმანიის ჯარების განადგურების დიადი სტალინური გეგმის განსახორციელებლად.

1941 წლის 6 დეკემბერს წითელი არმია გადადის შეტევაზე. ისმის შორსმსროლი ქვემეხების გრიალი, როგორც შეტევის დაწყების ნიშანი გმირი მფრინავები, ტანკისტები, კავალერისტები, ქვეითი ჯარი ერთად იწყებენ მოქმედებას. ისმის მეთაურის მძლავრი ხმა: „სამშობლოსათვის! სტალინისათვის! ურა!“

დაიწყო ისტორიაში უმაგალითო შეტევა. ჩვენი არმია წინ მიდის, წინ მიდის და იმარჯვებს.

ვინ შესძლო ყოველივე ამის გადაღება ან როგორ? საბჭ. ოპერატორები — ბელიაკოვი, ბობროვი, ბუნიმოვიჩი და კასატკინი, კარმენი, კრილოვი და ლებედევი, მაკასეევი, ნებილიცკი, შნეიდეროვი, შტატლანდი და შჩეკუტიევი, ელბერტი, სოლოვიევი და შერი თვითონვე იღებდნენ მონაწილეობას ბრძოლებში. ისინი უმძიმეს პირობებში (აპარატი ხშირად იყინებოდა, ბომბები ახლო სკდებოდა, ტყვიები ყურთან წიოდნენ) აიძულებდნენ კინოლენტს აესახა ეს უმაგალითო ბრძოლები.

ჩვენ ვხედავთ დაუვიწყარ კადრებს. აი წითელი არმიის სახელოვანი გენერლების მამაცური, მშვიდი სახეები. საკომანდო კოშკურებთან ჩნდებიან ბელოვი და როკოსოვსკი, კონევი და სოკოლოვსკი, ბოლდინი და ლელიუშენკო, იუშკევიჩი და მასლენიკოვი, გოვოროვი და გოლიკოვი. მათ წინ ბრძოლის ველია. ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ დასავლეთისაკენ, ავიწროებენ და სპობენ ვერაგ მტერს, პირსისხლიანი ფაშისტებისაგან ათავისუფლებენ დასახლებულ პუნქტებს.

რა კარგად მოუხდენიათ ამ დიდი მასალის მონტაჟი რეჟისორებს ვარლამოვს და კოპალინს. რა მშვენიერია მოკროუსოვის მუსიკა და სურკოვის ლექსები სიმღერისათვის.

მაყურებელი დაძაბული ყურადღებით უცქერის თითოეულ კადრს, თითოეულ ეპიზოდს. არ შეიძლება მათი დავიწყება. აი ეკრანზე ჩვენ ვხედავთ მღელვარე, დაუვიწყარ შეხვედრებს. წითელი არმიის ნაწილებს აღფრთოვანებით ხვდება განთავისუფლებული მოსახლეობა. სიხარულის ცრემლები. პარტიზანები დაბრუნდნენ. ეხვევიან დედებს, ცოლებს, ბავშვებს. შემდეგ სოლნეჩნოგორსკი, ვოლოკოლამსკი. მაგრამ გადამწვარი სახლები, ცეცხლის ალი. გაუპატიურების შემდეგ ბავშვებიანად დახვრეტილი ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები. ფაშისტთა შემაძრწუნებელი მხეცობა ყველგან, სადაც კი ჰიტლერელებმა სისხლიანი ტორით გადაიარეს. ზამთრის სუსხიანი ქარი სახრჩობელაზე აქანავებს 8 ვოლოკოლამსკელ გმირს, რომლებიც გერმანელებმა წამების შემდეგ ჩამოახრჩეს. დაჭრილ წითელარმიელთა გატრუსული და დამახინჯებული გვამები. გული მკერდიდან ამოვარდნას ცდილობს, როცა ხედავ პატარა ბავშვს, მოკლული დედის მკერდზე დახვრეტილს და ცეცხლისაგან გარუჯულს.

ჩვენი მებრძოლები წინ მიიწევენ. დასავლეთისაკენ გზებზე ყრია ულმობელი მტრის დიდძალი დამსხვრეული მანქანები, ტანკები, გერმანელ ფაშისტთა ურიცხვი გვამები. ფილმში ქრონოლოგიურად არის ნაჩვენები წითელი არმიის მიერ ქალაქების აღება. გამოჩნდა კლინი და კალინინი, ისტრა და მოჟაისკი. ისტრაში გერმანელ დამპყრობლებს დაუნგრევიათ „ახალი იერუსალიმის“ მონასტერი, რასტრელისა და კაზაკოვის იშვიათი ნაკეთობა. იასნაია პოლიანაში ვაძარცული და დანგრეულია დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სახლი. გაპარტახებულია ოთახი, სადაც ტოლსტოიმ დაწერა რუსი ხალხის „ილიადა“ — „ომი და მშვიდობა“. მხოლოდ ცარიელი ჩარჩოები დარჩენილა, ძვირფასი სურათები კი მოპარულია. ისტრაში ანტონ ჩეხოვის სახლიდან ფერფლიღა დარჩენილა. კლინში განადგურებულია უდიდესი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის სახლი. თოვლზე ძევს ფაშისტების მიერ სახლიდან გადმოგდებული ჩაიკოვსკის ბიუსტი. და ფილმში უფრო მძლავრად ისმის მეხუთე სიმფონია ჩაიკოვსკისა, რომელიც თითქოს დღეს უმღერის ჩვენი არმიის ძლევამოსილ წინსვლას დასავლეთისაკენ.

კადრი კადრს მისდევს. უკვე მოგებულია კოლოსალური ბრძოლა მოსკოვისათვის. მოსკოველები უდიდეს სიხარულით ხვდებიან ცნობებს წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ. აი ბოროდინოს ობელისკი და ისტორიული ველი, სადაც ფელდმარშალმა კუტუზოვმა ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში ასახელა რუსული იარაღი და დიდების შარავანდედით შემოსა რუსი ხალხის გმირობა.

ამ უკანასკნელი კადრებით თავდება ეს გრანდიოზული ფილმი. იგი მხატვრული ძალით შეუდარებელი და შემოქმედებითი ოსტატობით უდიდესია. ეს ფილმი სოციალისტური სამშობლოს გმირული ისტორიის დაუვიწყარი წიგნია, რომელიც მომავალ თაობათა ხსოვნაში აღადგენს ჩვენი ცხოვრების მღელვარე განცდებს. დღეს კი მოგვიწოდებს: წავიდეთ წინ, დასავლეთისაკენ, პირსისხლიან ფაშისტ ავაზაკთა ურდოების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში ჰიტლერელთა გასანადგურებლად.

გ. ჯიბლაძე

საბოლოო გამარჯვება ჩვენია

გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან უკვე მომხდარი, ჩვენთვის სასახელო ფაქტია. და აი ეს სასიამოვნო, თან დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩვენი სამამულო ომისა ჩემის თვალით ვნახე დოკუმენტურ კინოფილმში.

კინოსურათია, მაგრამ იმდენად დამაჯერებელია, იმდენად ამაღლვებელი, რომ უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჯერ თვითონ ჩვენი მოწინავე, ჩვენს უწმინდეს ფიქრთა და ზრახვათა მპყრობელი, ჩვენი დიადი კავშირის დედა-ქალაქი მოსკოვი როგორ მრისხანედ გამოიყურება. მთელი ქალაქი ჩართულია უდიდეს თავდაცვით მუშაობაში. თქვენ გრძნობთ, რომ ქალაქში არ არის კაცი, რომელიც საომარი საქმიანობისათვის არ იყო თავდადებული.

განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ყველანი თავ-თავის ალაგს, თავ-თავის საქმეს აკეთებენ: საზღვრების გამაგრება, ბარიკადებისა და სხვადასხვა მახვილად მოგონებულ ხერხებისა და დაბრკოლებათა შექმნა, ქარხნებში საომარი მასალებისა და საჭურვლის კეთება... და ფრონტზე კი მრავალფერი საომარი შეტევანი და შემართებანი ჰაერში, ხმელეთზე, პარაშუტისტების დესანტი, კავალერიის გაჭენება და ქვეითი ჯარის ხან პირდაპირ, ხან თხილამურებით, გლუსუნებით დადევნება მტრისა ან და მისი გარშემორტყმა.

აგერ მიაგნეს რომელიღაც დასახლებულ წერტში ფაშისტთა რაზმებს, და სადღაც სოროებში შეყუჟულნი, როგორც მხეცები თავიანთი ბუნაგიდან, ისე ამოაგდეს.

აგერ ჰაერიდან უშენენ ბომბებს.

სხვა ადგილებში კი ქვემეხებს გააქვთ გუგუნი, საზენიტოები სჭექენ, ანადგურებენ მტრის სავეებს.

მხოლოდ რა შემაზრზენია ის ადგილები სურათისა, როდესაც ჩვენ შევდივართ გერმანელების მიერ განადგურებულ სოფლებსა და ქალაქებში. სახლები და შენობები გადამწვარი, სახრჩობელებზე ჩამოკიდებული ადამიანები და მცხოვრებთა მიყრილ-მოყრილი გვამები ქუჩებში, ეზოებში: დიდი, პატარა, ქალი და კაცი.

ყველა ამათ დანახვაზე უდიდესი სიძულვილი გიპყრობთ იმ გაველურებული ადამიანებისადმი, რომელნიც თავიანთ თავს ნაციონალ-სოციალისტებს უწოდებენ და თქვენც მზადა ხართ შურისსაძიებლად.

მხოლოდ რა დიდ ნუგეშად გველინებათ ამ სურათში საყვარელი ბელადის გამოჩენა.

დიდი სტალინი ტრიბუნაზე!

რა სახე აქვს ამ დიდებულ ადამიანს ამჟამად!

თითქოს არაფერი არ შეცვლილა. იგივე დინჯი გამომეტყველება, ისეთივე აუჩქარებლობა საქციელში, სიტყვებში.

მხოლოდ მისი მუდამჟამ დიდის რწმენით აღვსილი თვალები ახლა კიდევ მეტის შეუვალობით შემოსილა.

ამ სამოსელიდან კი გამოკრთის გამარჯვების დიდი შუქი.

და ასეთი დიდი რწმენა ბუმბერაზ ადამიანისა თქვენც ერთხელ კიდევ გამხნევებთ, სულიერად გამაღლებთ და იცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

შალვა დადიანი

ნაძირალები ჩვენს ქვეყანას ვერ დაიმონებენ

თითოეულ ჩვენგანში, ვინც კი ვნახეთ ეს შესანიშნავი ფილმი, ერთიორად გაიზარდა სიყვარული ჩვენი გმირული წითელი არმიისადმი. განვიცადეთ საბჭოთა მოქალაქის სიამაყე მისი თავდადებული მოქმედების გამო, კიდევ უფრო გავიძლიერეთ ჩაუქრობელი ზიზღითა და შურისძიების გრძნობით კაცობრიობის ნაძირალა გერმანელი ფაშისტების მიმართ.

ეკრანზე ჩვენ ვნახეთ დიდი სტალინი და მოვისმინეთ ჩვენი სამშობლოს გამარჯვების რწმენით სავსე მოწოდება გერმანელი ოკუპანტების განადგურებისათვის. რა გამანადგურებელი სიმძლავრით დაიწყო წითელმა არმიამ ამ დიდი სარდლის გენიალურად მოფიქრებული გეგმის შესრულება. აღარავითარ ძალას აღარ შეუძლია შეაჩეროს ჩვენი წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლა დასავლეთისაკენ.

ფილმში კარგად არის ნაჩვენები ზურგის ერთსულოვანი მზრუნველობა წითელი არმიის გამარჯვებისათვის და აუწერელი სიხარული ფაშისტთა უწმინდურებისაგან განთავისუფლებულ მოსახლეობაში.

ეს ფილმი შესანიშნავად გვიჩვენებს, რომ მოსკოვის დაცვისათვის მძლავრმა გაქანებამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ჩვენს გამარჯვებას.

აკად. ნ. ახვლედიანი

წითელი არმია შემუსრავს ვერაგ მტერს

ფილმში ჩინებულად ასახულია ჩვენი მამაცი წითელი არმიის ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ, რომელიც სწარმოებს მკაცრი ზამთრის პირობებში, სადაც მეომარს ორმაგი ბრძოლის წარმოება უხდება.

შემზარავია ეპიზოდები, რომლებიც გვიჩვენებენ ფაშისტების მიერ სახრჩობელებზე დაკიდულ მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებსა და ველურად დასახიჩრებულ ქალებს.

გულისამრევია ფაშისტების ვანდალიზმი, რომლის ბადალი ისტორიას არ ახსოვს. განადგურებული ტაძარი „ახალი იერუსალიმისა“, რუსი ხალხის უბრწყინვალესი გენიის—ლ. ტოლსტოის განადგურებული კარ-მიდამო, ჩეხოვისეული და ჩაიკოვსკისეული სახლები და სხვანი.

იმავე ფილმში საუცხოოდაა ნაჩვენები წითელი არტილერიის, ავიაციის და კავალერიის იერიშები, თავგამეტებული ბრძოლა მეწინავეთა და მზვერავთა, განთავისუფლებული ქალაქებისა და დაბების მოსახლეთა ენტუზიაზმი. ეს ყოველივე უფრო ამკვიდრებს ყოველ ჩვენგანის გულში რწმენას, რომ წითელი არმია, რომელიც ლოზუნგით: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ — ანთავისუფლებს ქალაქებსა და სოფლებს, ძლევამოსილად დაამთავრებს ამ საშინელ ომს და ბოლოს მოუღებს გერმანელი ოკუპანტების გაუგონარ მხეცობას.

კონსტანტინე გამსახურდია

გამარჯვება ჩვენია

გერმანელთა 80 დივიზია მოადგა მოსკოვს, ჩვენი ქვეყნის გულს, ჩვენს საყვარელ დედაქალაქს.

მთელი საბჭოთა ხალხი იმედით შეჰყურებდა მოსკოვს, სტალინს, წითელ არმიას, მის დევგმირ გენერლებს.

წითელი არმიის უდიდესი გმირობის გამოჩენით, დარაზმულობით ძლეულ იქნა ბარბაროსთა შემოტევა.

ეკრანზე თვალნათლივ ხედავ, თუ როგორია საბჭოთა დიდი ხალხი, და გჯერა, რომ ამ ხალხის დაძლევა და დამონება არავითარ ძალას არ შეუძლია.

ეკრანზე იშლება ბრძოლის მძაფრი და საშინელი სურათები, მაგრამ ისინი ჩვენთვის არიან გამამხნევებელნი და ძალღონის მომცემნი. როცა უყურებ ამ ფილმს, გჯერა, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი წითელი არმია ძლიერი და სულიერად მაღალია. მოსკოვის დაცვის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა მტერთან, როგორ უნდა გამკლავება ვერაგულად შემოჭრილ თავდამსხმელს, რომელსაც არ გააჩნია არც მორალი, არც სინიდისი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს ჩვენს ქალაქებს, სოფლებს, ჟლეტს უმწეო მოხუცებსა და ბავშვებს.

როცა ხედავ ბრძენი ბელადის დამშვიდებულ და მხნე სახეს, როცა გესმის მისი ცეცხლოვანი, ფოლადისებური სიტყვები, გჯერა, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია და ეს გამარჯვება მალე იქნება.

სერგო კლდიაშვილი
ორდენოსანი მწერალი.



კადრები დოკუმენტური ფილმიდან: „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“.

დაუვიწყარი დოკუმენტი

ეს ფილმი დაუვიწყარი დოკუმენტია. გავა მრავალი წელი, და დიდებული ეპოპეის მომავალი ისტორიკოსი არა ერთხელ დაუბრუნდება ამ დოკუმენტს, არა ერთგზის დააკვირდება ბელადის სახეს, ჩვენს მებრძოლთა მოქმედებას, საბჭოთა ხალხის ძალას, რათა შეიცნოს იმ უდიდესი ნების საიდუმლოება, რომელმაც სამუდამოდ წაღმა შეატრიალა კაცობრიობის განვითარება.

ჩვენი თაობისათვის-კი ეს არის არა მარტო დოკუმენტი, არამედ ჩვენი უღრმესი განცდა. მამაცი მაყურებლის მღელვარებაც აღწევს იმ ფორმას, რომლისაც ჩვეულებრივად აქდიმება ვაჟკაცს.

მადლობა იმათ, ვინც შექმნა ეს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც აანთებს მილიონებს შურისძიებისათვის, პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოოდ მოსასრისად.

აკად. ს. ჯანაშია

ძლიერი და ამაღლებელი ფილმი

უდიდესი ინტერესითა და მღელვარებით ნახავს ყველა ამ ფილმს.

ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლა ჰიტლერელ დამპყრობლებთან, ჩვენი მძლავრი საომარი ტექნიკა უდიდეს გამამხნევებელ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

ეკრანზე ვხედავთ ბრძენ სტალინს, ვისმენთ მის იმედიან მჭექარე სიტყვებს, მის დიად მოწოდებას გამარჯვებისაკენ, ვხედავთ ჩვენს საყვარელ გენერლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებსა და წითელარმიელებს, რომლებიც ახორციელებენ დიდი სტრატეგის გეგმებს.

დაუვიწყარია ბრძოლის ცალკე ეპიზოდები. ჩვენი სახელოვანი ტანკისტები, მფრინავები, არტილერისტები, კავალერისტები და მეთხილამურენი საშინელ ნიაღვრად ატყდებიან თავს მტერს და ერთიმეორეზე ათავისუფლებენ მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს. გამხეცებული ფაშისტები მოისწრაფოდნენ მოსკოვისაკენ, ჩვენი სამშობლოს გულისაკენ, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ ეღირსებიან მის ხელში ჩაგდებას. მათი გვამებით მოფენილია ველ-მინდვრები.

ფილმი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია საბჭოთა დიდ ხალხს თავისი წმინდათაწმინდა სამშობლოს დაცვის დროს. შურისძიების წყურვილითა და მრისხანებით ივსება გული, როცა ხედავ მხეცი ფაშისტების საშინელი ბარბაროსობის სურათებს კლინში, ვოლოკოლამსკში, ისტრაში.

პირსისხლიანი ფაშისტები განდევნილი იქნებიან ჩვენი ქვეყნიდან. წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული ბრძენი ბელადის გარშემო, გამანადგურებელ მახვილს ჩასცემენ ჰიტლერელ დამპყრობლებს.

სიმონ ჩიქოვანი
ორდენოსანი პოეტი.

ფილმი ჩვენს გამარჯვებაზე

გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან საბოლოოდ აქარწყლებს ლეგენდას გერმანელთა ჯარების „უძლეველობის“ შესახებ. წითელი არმია, აღფრთოვანებული დიდი სტალინის მოწოდებით და გამაგრებული მრავალმილიონიანი საბჭოთა ზურგით, მუსრს ავლებს ოკუპანტ ფაშისტებს და თანდათანობით ათავისუფლებს გერმანელების მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიებს.

ფილმი „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“, რომელიც შესანიშნავად ასახავს მოსკოვის მისადგომებთან მომხდარ ბრძოლებს, აასკეცებს სიძულვილს ფაშისტების მიმართ, რომლებიც მხეცურ უარესად ეპყრობიან ქალებსა და კაცებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ანადგურებენ ისტორიულ ძეგლებს და ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს. ფილმში ნათლად გვიჩვენებს საყვარელი წითელი არმიის დიდ ორგანიზებულობასა და დისციპლინას.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფილმმა ჩემზე. მე ვმუშაობ ბიუსტზე არმიის გენერალ ჟუკოვისა, რომელიც უშუალო მონაწილეა დასავლეთის ფრონტზე წარმოებული ბრძოლებისა და განსაკუთრებით მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურებისა.

აგრეთვე ვმუშაობ თემაზე „შური იძიე“ (პარტიზანების ბრძოლიდან). აღნიშნულმა ფილმმა ყოველგვარი საშუალება მომცა გამოვსახო ქანდაკებაში „შური იძიე“ უდიდესი სიძულვილი ფაშისტ ოკუპანტებისადმი და უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ჩვენი ულამაზესი საბჭოთა სამშობლოსადმი. მე მზად ვარ პირველ დაძახებისთანავე შაშხანით ხელში გამოვიდე ჩვენი ძვირფასი საბჭოთა ქვეყნის დასაცავად.

დიდება წითელ არმიას, რომელიც ათავისუფლებს თავის სამშობლოს გერმანელი ოკუპანტებისაგან!

დიდება დიდ სტალინს—ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს და წინამძღოლს!

ს. კაკაბაძე
სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

უდიდესი ძალის დოკუმენტი

„გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“ — ეს დოკუმენტური სურათი უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. არც ერთ სხვა დარგს არ შეუძლია ასე მოკლე დროის განმავლობაში ადამიანის თვალწინ გადაშალოს ასეთი გრანდიოზული სურათები. ეს სურათი იწვევს საშინელ სიძულვილს და შურისძიებას ბარბაროს მტრების მიმართ და უდიდეს სიყვარულს ჩვენი გმირული წითელი არმიისადმი.

ფილმი მოწმობს არა მარტო წითელარმიელთა გმირობას, არამედ კინოხელოვნების მუშაკთა გმირობასაც. უძლიერესი მომენტები, რომელთაც ეს უდიდესი ძალის კინო-დოკუმენტი იძლევა ცხოვრების სინამდვილიდან, დაუფასებელ მასალას წარმოადგენს მხატვრებისათვის და უსაზღვროდ აძლიერებს ჩვენში შემოქმედების ცეცხლს.

მოსე თოიძე
ორდენოსანი მხატვარი
ირაკლი თოიძე
სტალინური პრემიის ლაურეატი

ვჭედოთ მრისხანე იარაღი

შესანიშნავი ფილმი, უდიდესი ძალის დოკუმენტი—აი რა ითქმის რამდენიმე სიტყვით ამ სურათზე. ხედავ ჩვენს მრისხანე ტანკებს, მძლავრ ავიაციას, სახელოვან არტილერიას, გაბედულ კავალერიას და ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა კიდევ უფრო მტკიცდება.

აი გამოდის უდიდესი მხედართმთავარი გენიოსი სტალინი, ადამიანი, რომელმაც შეიმუშავა გერმანელი ოკუპანტების მოსკოვთან განადგურების გეგმა, ადამიანი, რომელიც ახალ ძალებს გვმატებს, გვასალკლდევებს, ჩვენს გამარჯვებებს ხელმძღვანელობს.

ეს სურათი გვასწავლის როგორ უნდა ანადგურო მტერი, როგორი შეურყეველი ნებისყოფით უნდა იბრძოლო ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

ეს სურათი ზურგში მყოფთ გვავალებს შეუსვენებლად ვიმუშაოთ, ვჭედოთ მრისხანე იარაღი მტრის გასანადგურებლად.

ქ. ილურიძე
სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორდენოსანი მჭედელი.

მკერდით დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს

კინოსურათი „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“ დამაჯერებლად უჩვენებს, თუ როგორ დაიწყო საზიზღარი გერმანელი ფაშისტების განადგურება მოსკოვის მისადგომებზე. თანამიმდევრულად ახორციელებენ მშობლიური წითელი არმიის ნაწილები გერმანელ დამპყრობთა მოსპობის სტალინურ გეგმას.

ფილმი უჩვენებს, თუ რა მოხერხებულად იყენებს პირველხარისხოვან საბრძოლო ტექნიკას ხალხის პირმშო—წითელი არმია, თუ რა დაუვიწყარი გმირობით იბრძვიან მარდი მეთხილამურეები, სახელოვანი ქვეითნი, უშიშარი ცხენოსნები, საბჭოთა ტანკისტები, წითელი არტილერია.

მაყურებლის უსაზღვრო აღშფოთებას იწვევს ვერაგი გერმანელი ფაშისტების მიერ ნაწამები წითელარმიელების დამწვარი გვამების დანახვა, თითოეული მაყურებლის გულში იზრდება უსაზღვრო სიძულვილი მუხანათი მტრისადმი.

ამხანაგ სტალინის მოწოდება: გავანადგუროთ გერმანელი ოკუპანტები—აღგვაგზნებს ახალი თავდადებული ბრძოლებისათვის, კიდევ უფრო გვიმტკიცებს ვერაგი მტრის საბოლოოდ მოსპობის რწმენას. ჩვენ მზად ვართ პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე მკერდით დავიცვათ სოციალისტური სამშობლო.

ბატალიონის კომისარი **მ. ივანიშვილი**
III რანგის სამხედრო ექიმი **ნ. მუჯირი**



კადრი ფილმიდან „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“. სურათზე: ბატარეა, რომელიც ანადგურებდა გერმანელებს მოსკოვის მისადგომებზე.

რიომის პროცესი

ვიში, 4 მარტი (საკდესი). გუშინ რიომის სასამართლოს სხდომაზე დალადიეს დაკითხვა გრძელდებოდა. დალადიემ უპასუხა ბრალდებას იმის შესახებ, რომ სამხედრო მრეწველობის საწარმოთა ნაციონალიზაციამ, რაც მან განახორციელა, საჭურვლის წარმოების შემცირება გამოიწვია, და განაცხადა, რომ სამხედრო მრეწველობის დიდი საწარმოების ნაციონალიზაციის კანონი თითქმის ერთსულოვნად დაამტკიცა პარლამენტმა. ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი მოიტანა. მაგრამ ეს შედეგი უკეთესი იქნებოდა,—აცხადებს დალადიე,—თუ რომ მრეწველებს, კერძოდ შნეიდერს, საბოტაჟი არ გაეწიათ წარმოებისათვის სხვადასხვა შენიღბული მეთოდით.

დალადიემ უარჰყო აგრეთვე ბრალდება, რომ მისი მიზეზით არ იყო მთლიანად გამოყენებული 1938 წელს სამხედრო საჭურვლისათვის გამოყოფილი კრედიტები. დალადიემ განაცხადა, რომ სწორი არ არის ციფრები, რომლებსაც ბრალდება იყენებს. იმ ბრალდების შესახებ, რომ დალადიე საჭურვლის უვარგის ნიმუშებს ამტკიცებდა წარმოებაში გამოსაყენებლად, მან მოიყვანა ფაქტები, რომლებმაც ცხადჰყვეს, რომ საჭურვლის ნიმუშებს საფრანგეთის გენერალური შტაბი ამტკიცებდა.

ამავე სხდომაზე სასამართლომ დაიწყო გამელენის დაკითხვა. როგორც ჰავასის-ოფის სააგენტო იუწყება, ეს დაკითხვა ფაქტიურად სასამართლოს თავმჯდომარის მონოლოგად იქცა, რადგან გამელენმა უარი განაცხადა ეპასუხნა კითხვებზე და სდუმდა. სასამართლოს თავმჯდომარემ მტკიცედ მოსთხოვა გამელენს ელაპარაკა, რაზედაც მან განაცხადა: ამას ვერ ვიზამ „ჩემს წინააღმდეგ მიღებული ზომების გამო“.

ნიუ-იორკი, 4 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიომიდან იუწყება, რომ დალადიემ სასამართლოში მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ საწარმოთა ნაციონალიზაციით უკმაყოფილო ფრანგი მრეწველნი განზრახ ფუშავდნენ საჭურვლის წარმოებას. შნეიდერ-კრეზოს ტრესტმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ნაციონალიზებული სამხედრო ქარხნების ორგანიზაციაში, რომელიც მთავრობამ შექმნა. მთავრობის წინადადება უარჰყო მრეწველმა ბრანდმაც. ჩრდილოეთ აფრიკის რესურსების მოზიდვის საფუძველზე საჭურვლის წარმოების გეგმა მიღებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ე. ი. მაშინ, როდესაც, დალადიეს სიტყვით, უკვე ერთობ გვიან იყო. დალადიემ ბრალი დასდო შნეიდერ-კრეზოს ტრესტს, რომ იგი ხელს უშლიდა თავის სხვადასხვა ფილიალს ეთანამშრომლნათ ნაციონალიზებულ ფოლადსამსხმელო ქარხნებთან. ბრანდმა, მას შემდეგ, რაც შატიონში ნაციონალიზებული იყო მისი ქარხანა, ამ ქარხნისათვის შეკვეთილი ქვემეხების ნახაზები გაიტაცა, რის შედეგად ქვემეხების დამზადება შეფერხდა.

სტოკჰოლმი, 4 მარტი (საკდესი). ოფიციალური ჰიტლერული პრესა არა მალავს თავის გულისწყრომას იმის გამო, რომ რიომის პროცესი ისე არ მიმდინარეობს, როგორც ბერლინში დასახეს. პროცესის ინსპირატორების განზრახვით, მის მთავარ ამოცანად დასახული იყო იმის დამტკიცება, რომ საფრანგეთს ბრალი მიუძღვის ომში. ამავე დროს,—გულისტკივილით ამბობს გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“,—ეს ამოცანა ვერ განხორციელდა. სასამართლო,—გულისწყრომით აცხადებს [illegible] „ცდილობს მიჩქმალოს [illegible] მთავარი ბრალდება, რომ საფრანგეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას“.

გაზეთი „მიუნხენერ ნოიესტე ნახრიხტენი“ გულახდით აცხადებს, რომ პროცესს მნიშვნელობა ექნებოდა და სარგებლობას მოიტანდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოარკვევდა, რომ ომის ატეხაში ბრალი მიუძღვის საფრანგეთს. „მაგრამ,—გულისტკივილით ამბობს გაზეთი,—სასამართლო სხვა საკითხებს ეხება, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. შთაბეჭდილება იქმნება, რომ საფრანგეთის მთავრობას არაფერი არ შეუძლია უპასუხოს ბრალდებულთ ომში საფრანგეთის ჩაბმის მიზეზების თაობაზე და ამიტომ მათ ბრალად სდებს მხოლოდ, რომ ომი ვერ მოამზადეს“. „სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, — აცხადებს გაზეთი, — მოსამართლე ბრალდებულთ ბრალად სდებს არა იმას, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, არამედ იმას, რომ ეს დანაშაული ვერ მოამზადეს საჭირო გამჭრიახობით, რათა წარმატება უზრუნველეყოთ“.

ლონდონი, 4 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, მიღებული ცნობებით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების უფროსმა რიომის პროცესზე განცხადება გააკეთა, რომელშიც უკმაყოფილება გამოსთქვა სასამართლოს მიმდინარეობის გამო. „რიომის პროცესი,—სთქვა მან,—ყალბ გზას დაადგებოდა, თუ არ გააშუქებდა ძირითად პრობლემებს, სახელდობრ იმას, თუ რად ჩაება საფრანგეთი ომში გერმანიის წინააღმდეგ“. განცხადებაში აღნიშნულია: „გერმანია ვერ დაუშვებს იმას, რომ რიომის პროცესის მიმდინარეობიდან დასკვნა გამოიტანონ—საფრანგეთი ომს მოიგებდა უკეთ რომ მომზადებულიყო“.—„სასამართლო რომ ამ გზას დასდგომოდა,—ცინიკურად აცხადებს ჰიტლერის მოხელე,—რიომის პროცესის დაწყება არ ეღირსებოდაო“.

გაზეთი „ფრანსი“, რომელიც ლონდონში გამოდის, სწერს, რომ რიომის პროცესმა, მისი ორგანიზატორების ნება-სურვილის წინააღმდეგ, გერმანიისათვის არასასურველი მიმართულება მიიღო. „ჰიტლერის გეგმით, სასამართლოს საქმე ისე უნდა წარმოედგინა, რომ საფრანგეთი პასუხისმგებელია ომისათვის, მაგრამ საქმე სხვაგვარ შეტრიალდა. პროცესის დასაწყისშივე გამომჟღავნდა გერმანელთა პირმოთნეობა და სიცრუე და გამოაშკარავდა, რომ დამნაშავენი არიან: უწინარეს ყოვლისა ჰიტლერი, რომლის გიჟურმა იმპერიალიზმმა ომი გამოიწვია, აგრეთვე დამარცხების მომხრე ფრანგები, რომლებიც ცდილობდნენ სამშობლო გაეცათ ჰიტლერისათვის და რომლებმაც ეს მოახერხეს. გასაგებია, რომ ასეთი პროცესი ბერლინს არ მოსწონს და რომ ვიშის მმართველები უკვე მკაცრად გაჰკიცხეს, მაგრამ უკვე ერთობ გვიანია. პროცესის ინიციატორების ნებასურვილის წინააღმდეგ, იგი გამოხატავს ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობას, რაც განუწყვეტლივ მჟღავნდება საფრანგეთში. ვერც პეტენი, ვერც დარლანი, ვერც ბართელემი, ვერც პიუშე და ვერც თვით გენერალი შტიულპნაგელი, რომელმაც ამას წინათ ბრძანება გასცა ახალი მძევლების დახვრეტის შესახებ“, ვერაფერს ვერ შესცვლიან.

„სამშობლო“ საოპერო თეატრის სცენაზე

8 მარტს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს უჩვენებს თავის მორიგ ახალ დადგმას, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან კომპოზიტორ ი. ტუსკიას ოპერა „სამშობლოს“.

„სამშობლო“ პირველად დაიდგა 1941 წლის 5 იანვარს. ამჟამად ოპერის ტექსტი (ავტორი — აკ. ვასაძე) და მუსიკა გადამუშავებულია. ოპერას სდგამს სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავს, დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი, ცეკვები დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

სპექტაკლში მთავარი როლები განაწილებულია შემდეგნაირად: ციცინათელა—რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. გოსტენინა და ქ. შათირიშვილი; თამაზი—დამსახურებული არტისტები პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი და გ. ვენაძე, მახიობი ბ. კრაველიშვილი; გელა—სახალხო არტისტი დ. ანდღულაძე და ნ. ბელაკრელი; ლევანი—დ. მჭედლიძე, გ. გოგიჩაძე, გ. გრიგორაშვილი, ვ. ხამაშურიძე; სანდრო—თ. ციბაძე და თ. მდივანი; მზია—ნ. გოლუბევა და ე. ეპიტაშვილი; ლეიტენანტი—პ. ჩახუნაშვილი; დივერსანტები—ზ. სვანიძე, ა. მაჩაბელი, ვ. ჭუმბურიძე.

თეატრებში

სახოპერა — 7 მარტს — „ტრუბადური“, 8 მარტს დღისით — „ევგენი ონეგინი“, 8 მარტს საღამოს — „ტრავიატა“. **რუსთაველის სახელობის** — 7 მარტს — „პროფესორი მამლოკი“, 8 მარტს — „ღალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—7 მარტს — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 8 მარტს დღისით — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 8 მარტს საღამოს — „მარგარიტა გოტიე“. **მუსიკალური კომედიის** — 7 მარტს — „თივა და ავი ძაღლი“, 8 მარტს — „როზ-მარი“. **სანკულტურის** — 7 და 8 მარტს — „გმირი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 7 მარტს —საღამო-კონცერტი (მე-6 აბ. დასაწყ. 6 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი და ლუქსემბურგის სახ.—გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან, ოქტომბერი—„ტანკისტები“, კომკავშირელი — „მეორე ქალი და მწყემსი“, სპარტაკი — „პეპო“, კომინტერნი —„მეორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“, მეცნიერება და ცოდნა — „გულადი ნაზარა“, 26 კომ. სახ.—„აზამატ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

შაბათიდან, 7 მარტიდან კინოთეატრებში: რუსთაველის სახ., როზა ლუქსემბურგის სახ. და „დამკვრელში“
ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმი
გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან



ფილმის გეგმა და მონტაჟი ეკუთვნის რეჟისორებს ორდენოსან **ლ. ვარლამოვს** და სტალინური პრემიის ლაურეატს **ი. კოპალინს.**
ფილმი გადაიღეს ოპერატორებმა:
ი. ბელიაკოვმა, ტ. ბობროვმა, ტ. ბუნიმოვიჩმა, პ. კასატკინმა, რ. კარმენმა, ა. კრილოვმა, ა. ლებედევმა, ბ. ნებილიცკიმ, ბ. მაკასეევმა, მ. შნეიდეროვმა, ვ. შტატლანდმა, ა. შჩეკუტიევმა, ა. ელბერტმა, ვ. სოლოვიოვმა, ხ. შერმა.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა სწარმოებს დღისით.
სეანსების დასაწყისი: რუსთაველის სახ. და „დამკვრელი“—5-30, 6 50, 8-10, 9-30, 10-50; როზა ლუქსემბურგის სახ.—6, 7-20, 8-40, 10.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საკონტროლო ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ-კონსულტანტ

ნიკოლოზ მიხეილის-ძე მასხულიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 8/III 12 ს. ვაშლოვანის ქ. № 3. 196

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი, პარტბიურო, პროფბიურო და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა იუწყებიან დოცენტის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის

ივანე იოსების-ძე ბეგლაროვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 8/III 4 ს. ორჯონიკიძის ქ. № 76, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 202

საქნერგოს ქსელების პირველი რაიონის მეორე უბნის თანამშრომლები იუწყებიან ე. ბურჯანაძის ძმის

მიხეილ ათანასეს-ძე ბურჯანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 8/III. 200

გამომცემლობა „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ კვირას, 8 მარტს დღის 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ამხ. ს. კაიტანჯიანის მეუღლის

მარიამ იაგორის-ასულ კაიტანჯიანის

სამოქალაქო პანაშვიდი.

რუსთაველის სახ. თეატრის დირექცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და ალკკ პირველადი ორგანიზაცია იუწყებიან

ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ჯადუგიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/III 6 ს. გამოსვენება 8/III 2 ს. ბელინსკის ქ. № 6.

„თბილსაზკვებტრესტის“ სასადილო № 122-ის თანამშრომლები იუწყებიან შ. ნ. ჭითავას დედის

ოლღა ნიკოლოზის-ასულ ჭითავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/III 8 ს. ლერმონტოვის ქ. № 3, დაკრძალვა 8/III 2 ს. ვაკის სასაფლაოზე. 199

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საბინაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ 8/III 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია დ. ტორონჯაძის დედის

მელანია ზამთარაძე-ტორონჯაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 195

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

უე 6429